

შპს „სიმეტრა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1.კორპორატიული ინფორმაცია	5
2.მომზადების საფუძველი.....	5
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	11
6.ძირითადი საშუალებები	12
7.არამატერიალური აქტივები	13
8.მარაგები	13
9.ფული და ფულის ექვივალენტები	13
10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
11.გადასახადები	14

შპს "სიმეტრია"

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი		6,435,839	8,657,549
რეალიზებული წილის თვითღირებულება		(3,231,036)	(4,150,091)
საერთო მოგება		3,204,803	4,507,458
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(1,627,974)	(1,813,198)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,712,165)	(1,643,727)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(171,733)	(166,234)
იჯარის ხარჯი		(206,813)	(153,998)
ფინანსური ხარჯი		(268,547)	(157,273)
ფინანსური შემოსავლები		32,478	8,768
სხვა შემოსავლები		51,700	38,042
საოპერაციო მოგება		(698,251)	619,838
საკურსო მოგება/(ზარალი)		(63,207)	(354)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-	(143,058)
მოგება დაბეგვრამდე		(761,458)	476,426
მოგების გადასახადი		(59,662)	(83,214)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		(821,120)	393,212



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:

ბექა სიხარულიძე

დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "სიმეტრა"**ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი		6,435,839	8,657,549
რეალიზებული წილის თვითღირებულება		(3,231,036)	(4,150,091)
საერთო მოგება		3,204,803	4,507,458
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(1,627,974)	(1,813,198)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,712,165)	(1,643,727)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(171,733)	(166,234)
იჯარის ხარჯი		(206,813)	(153,998)
ფინანსური ხარჯი		(268,547)	(157,273)
ფინანსური შემოსავლები		32,478	8,768
სხვა შემოსავლები		51,700	38,042
საოპერაციო მოგება		(698,251)	619,838
საკურსო მოგება/(ზარალი)		(63,207)	(354)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-	(143,058)
მოგება დაბეგვრამდე		(761,458)	476,426
მოგების გადასახადი		(59,662)	(83,214)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		(821,120)	393,212

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:

ბექა სიხარულიძე

დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "სიმეტრა"

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
აქტივები გრძელვადიანი			
ძირითადი საშუალებები	6	1,232,973	1,166,162
არამატერიალური აქტივები	7	34,656	42,849
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,267,629	1,209,011
მიმდინარე აქტივები			
ავანსები მომწოდებლებთან		-	154,874
მარაგები	8	811,641	884,211
სხვა		68,182	38,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,349,685	1,966,669
ფული და ფულის ექვივალენტები	9	126,772	169,357
სულ მიმდინარე აქტივები		2,356,280	3,213,143
სულ აქტივები		3,623,909	4,422,154
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(478,560)	680,646
სულ კაპიტალი		(478,560)	680,646
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1,289,490	1,301,738
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		63,161	92,870
საგადასახადო ვალდებულებები		59,935	132,291
მოკლევადიანი სესხები		2,287,659	55,735
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,700,245	1,582,634
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		402,224	2,158,874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		402,224	2,158,874
სულ ვალდებულებები		4,102,469	3,741,508
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,623,909	4,422,154



ბექა სიმონიძე

დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "სიმეტრა"**ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
აქტივები გრძელვადიანი			
ძირითადი საშუალებები	6	1,232,973	1,166,162
არამატერიალური აქტივები	7	34,656	42,849
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,267,629	1,209,011
მიმდინარე აქტივები			
ავანსები მომწოდებლებთან		-	154,874
მარაგები	8	811,641	884,211
სხვა		68,182	38,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,349,685	1,966,669
ფული და ფულის ექვივალენტები	9	126,772	169,357
სულ მიმდინარე აქტივები		2,356,280	3,213,143
სულ აქტივები		3,623,909	4,422,154
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(478,560)	680,646
სულ კაპიტალი		(478,560)	680,646
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1,289,490	1,301,738
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		63,161	92,870
საგადასახადო ვალდებულებები		59,935	132,291
მოკლევადიანი სესხები		2,287,659	55,735
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,700,245	1,582,634
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		402,224	2,158,874
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		402,224	2,158,874
სულ ვალდებულებები		4,102,469	3,741,508
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,623,909	4,422,154

ბეჟა სიხარულიძე

დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ბეჟა სიხარულიძე
დირექტორი

3

შპს "სიმეტრა"**ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება /დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	741,825	741,925
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		393,212	393,212
გაცემული დივიდენდი		(454,391)	(454,391)
კორექცია			
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	680,646	680,646
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(821,120)	(821,120)
გაცემული დივიდენდი		(338,086)	(338,086)
კორექცია			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(478,560)	(478,560)

ბექა სიხარულიძე

დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "სიმეტრა"

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2024
წმინდა მოგება	(821,120)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	171,733
არარეალიზებული სავალუტო მოგება	63,207
მოგების გადასახადი	(59,663)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული მოგება/ზარალი	3,202
გადასახდელი პროცენტი	268,547
მისაღები პროცენტი	(32,478)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(406,572)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	675,186
მოკლევადიანი სესხების შემცირება	
მომწოდებლებისთვის წინასწარი გადახდების შემცირება (ზრდა)	146,348
მარაგის ცვლილება	42,419
საშემოსავლო გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადების ზრდა (კლება)	(72,356)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(106,278)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	278,747
გადახდილი მოგების გადასახადი	(59,663)
გადახდილი პროცენტი	(268,547)
მიღებული პროცენტი	32,478
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	102,340
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(227,148)
ძირითადი საშუალებების გასხვსებიდან მიღებული შემოსავალი	(6,403)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(233,551)
კაპიტალის მფლობელებს გადახდილი დივიდენდები	(338,086)
გრძელვადიანი ბანკის სესხი	436,454
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	98,368
(კლება)/ნაღდი ფულის და ექვივალენტების ზრდა	(32,843)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	(9,742)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	169,357
ფულადი სახსრები და ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	126,772

ბექა სინორულიძე

დირექტორი

არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “სიმეტრა”

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2024
წმინდა მოგება	(821,120)
ცვთა და ამორტიზაციის ხარჯი	171,733
არარეალიზებული სავალუტო მოგება	63,207
მოგების გადასახადი	(59,663)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული მოგება/ზარალი	3,202
გადასახდელი პროცენტი	268,547
მისაღები პროცენტი	(32,478)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(406,572)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	675,186
მოკლევადიანი სესხების შემცირება	
მოშწოდებლებისთვის წინასწარი გადახდების შემცირება (ზრდა)	146,348
მარაგის ცვლილება	42,419
საშემოსავლო გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადების ზრდა (კლება)	(72,356)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(106,278)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	278,747
გადახდილი მოგების გადასახადი	(59,663)
გადახდილი პროცენტი	(268,547)
მიღებული პროცენტი	32,478
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	102,340
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(227,148)
ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი	(6,403)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(233,551)
კაპიტალის მფლობელებს გადახდილი დივიდენდები	(338,086)
გრძელვადიანი ბანკის სესხი	436,454
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	98,368
(კლება)/ნაღდი ფულის და ექვივალენტების ზრდა	(32,843)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	(9,742)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	169,357
ფულადი სახსრები და ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	126,772

ბექა სიხარულიძე

დირექტორი

არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „სიმეტრა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს სიმეტრა (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 8 აპრილს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204567174 .

ძირითადი საქმიანობა. შპს „სიმეტრა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური ქაღალდის ნაწარმის წარმოება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ულიანოვის ქ. N29.

კომპანიის მეწილეები: ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, 100% წილის მფლობელი არის ბექა სიხარულიძე 01019069277.

2. მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

შპს “სიმეტრა”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგებაან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვისღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

შპს “სიმეტრა”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	7
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	8
მანქანა-დანადგარები	10

არამატერიალური აქტივები.

- **ადიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებითაღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ღივიდენდები. ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე

შპს “სიმეტრა”**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

		2024	2023
ქეშბექი და მარკეტინგული ხარჯი		587,842	989,189
ავტოპარკის და საწვავის ხარჯი		432,887	476,334
რემონტის და საწარმოო ხარჯები		2,658	56,201
დაზღვევის ხარჯები		64,963	40,895
საკონსულტაციო ხარჯები		44	-
საბანკო ხარჯები		16,731	-
მივლინების ხარჯები		86,865	-
კომუნალური ხარჯები		45,673	-
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი		793	49,920
საკომუნიკაციო ხარჯები		26,905	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		362,613	113,355
სხვა საერთო ხარჯები		-	87,304
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		1,627,974	1,813,198

შპს “სიმეტრა”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

პერიოდი	მიწა და შენობები	მანქანები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს		576,775	231,421	570	16,474	138,323	41,070	1,004,632
შემოსვლა	202,281	43,243	41,824	13,419	3,412	15,921	2,001	322,103
PPE-ს გადაფასება								-
PPE -ის გასვლა					339			339
ინვესტიცია								
გასხვისება		(1,854)			(1,017)			(2,871)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	202,281	618,194	273,245	13,989	19,208	154,244	43,071	1,324,202
შემოსვლა	102,000	119,607	5,508	1,036		5,400		233,552
PPE -ის გასვლა								
PPE-ს გადაფასება								
ინვესტიცია								
გასხვისება						(6,265)		(6,265)
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	304,281	737,772	278,754	15,025	19,208	153,379	43,071	1,551,489
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს								
ცვეთა 2023	82	97,957	26,255	2,394	2,811	22,462	6,440	158,041
გასხვისება								
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	82	97,957	26,255	2,394	2,811	22,462	6,440	158,041
ცვეთა 2024	575	96,957	28,810	4,440	3,078	23,426	6,253	163,539
გასხვისება			(3,063)					(3,063)
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	657	194,554	52,001	6,834	5,890	45,887	12,693	318,517
ღირ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		576,775	231,421	570	16,474	138,323	41,070	1,004,632
ღირ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	202,199	520,567	246,990	11,595	16,397	131,782	36,631	1,166,162
ღირ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	303,624	543,217	226,752	8,191	13,318	107,492	30,378	1,232,973

შპს “სიმეტრა”
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7.არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	51,043
ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	51,043
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	51,043
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
ცვეთა 2023	8,194
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,194
ცვეთა 2024	8,194
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,387
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51,043
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,849
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,656

8. მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	159,677	185,022
ნედლეული და მასალები	512,834	555,356
მზა პროდუქცია	139,130	143,833
სულ	811,641	884,211

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	482	4,486
ფული ბანკში	126,290	164,871
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	126,772	169,357

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრება 1,289,490 ლარის ოდენობით.

შპს “სიმეტრა”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.